პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 16 (18558) ხუთშაბათი, 20 იანვარი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

ვიანგარიშოთ, შევაჯამოთ, მიჯნები დავსახოთ

ბამთარია, ბუნება ძილს მისცემია, მაგრამ სოფელს ახლა მაინც პასუხსაგები ხანა უდგას. კოლმეურნეობები და სამეურნეობათაშორისო საწარმო-ორგანიზაციები 1982 წლის საწარმოო-საფინანსო საქმიანობის შედეგებს აჯამებენ და საანგარიშო-საარჩევნო კრებებს მართავენ.

სოფლად ამ პასუხსაგები ხანისათვის ნიშანდობლივი ის არის, რომ კოლმეურნე გლეხობა ტყვიაელთა მაგალითისამებრ აქტიურად ებმება სოფლად მაღალი სოციალისტური დისციპლინისათვის გაშლილ მოძრაობაში, ვინაიდან დისციპლინა, როგორც ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ თბილისის საავიაციო ქარხნის კოლექტივის კრებაზე აღნიშნა, გულისხმობს გეგმის სანიმუშო შესრულებასაც, რიტმულ მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებასაც, პროგრესული ტექნოლოგიის გამოყენებასაც, კარგ ფინანსურ მდგომარეობასაც, ბევრ სხვა რამესაც. სწორედ ამიტომ საჭიროა, უნინარეს ყოვლისა, დისციპლინა, ისევე როგორც ყველა სხვა ბერკეტი, ნარმართოთ მაღალი საბოლოო საწარმოო შედეგების მისაღწევად.

ამას მოითხოვს პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებისაგან, სოფლის ყველა მშრომელისაგან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ამასწინანდელი გადაწყვეტილება რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა 1982 წლის საწარმოო-საფინანსო საქმიანობის შედეგების შეჯამებისა და კოლმეურნეობებსა და სამეურნეობათაშორისო საწარმოებში საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებების მონყობის შესახებ.

გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა ორგანოები კოლმეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოებს უნდა დაეხმარონ, რათა 1983 წლის 1 თებერვლამდე დაამთავრონ საწარმოო-საფინანსო საქმიანობის შედეგების შესახებ წლიური ანგარიშების შედგენა, ხოლო 10 თებერვლამდე — საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე მათი განხილვა; პირველადი პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან წინასწარ განიხილონ მეურნეობათა 1982 წლის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგები, შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი განვითარებისა და არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის.

კრებებზე ყოველმხრივ უნდა განხილონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმის მიერ დასახული ამოცანების რეალიზაციის კონკრეტული გზები და ხერხები. ყურადღება უნდა გამახვილდეს სასურსათო პროგრამის მოთხოვნაზე, რომ საჭიროა უბრუნველყოფა მტკიცე შემობრუნება მეურნეობის გაძღოლის ინტენსიური მეთოდებისაკენ, მიწის ნაყოფიერების სანმაღლავრეების, შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების უკეთ გამოყენებისაკენ, მტკიცედ ვიბრძოლოთ შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, მეურნეობებში შევქმნათ შეურიგებლობის ატმოსფერო უყაირათობისა და მფლანგველობისადმი, რათა გავადიდოთ სასურსათო პროდუქტების წარმოება. სწორედ ამაზეა ლაპარაკი გაზეთის დღევანდელ ნომერში დაბეჭდილ მშრომელთა წერილების მიმოხილვაში „კოლმეურნეობის ხელმძღვანელი — სამაგალითო!“. ვიმედოვნებთ, ამ თემაზე მკითხველები კვლავაც გამოგვიგზავნიან თავიანთ მოსაზრებებსა და ნინადადებებს, რომლებიც სათანადოდ გაშუქდება გაზეთში.

„განვეწყოთ საქმისათვის და არა მაღალფარდოვანი სიტყვებისათვის“. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის ეს მითითება, რომელიც მან სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე გაკეთებულ მოხსენებაში ჩამოაყალიბა, არის ის ჭეშმარიტი აზრი, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს კოლმეურნეობათა საანგარიშო-საარჩევნო კრებების მთელი მუშაობა.

კრებებზე პირუთვნელად, მისხალ-მისხალ უნდა შეფასდეს წარმოება მეთაურთა, ფერმის გამგეთა, ბრიგადირთა და სპეციალისტთა საქმიანობა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ისინი საგეგმო დავალებების შესრულებასთან ერთად პასუხს აგებენ კოლექტივში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატისა და დისციპლინის მდგომარეობისათვის. მათი მოვალეობაა უკეთ ნაახალისონ მაღალნაყოფიერი და ხარისხიანი შრომა, ხოლო ცუდი მუშაობისათვის ჯეროვნად მოუკითხონ ბრალეულებს.

აქ განსაკუთრებით დიდია თავმჯდომარის როლი. იგი უნდა უზრუნველყოფდეს შრომის მაღალ ეფექტიანობას, საერთო შედეგებში თითოეულის წვლილის სწორ შეფასებას, ადამიანთა საჭირბოროტო სოციალური საკითხების დროული გადაწყვეტას; თვითონ უნდა უჩვენებდეს გერგილიანი და ინიციატივიანი მუშაობის, მკაცრი მომკითხველობის მაგალითს, გამრჯე ადამიანს უქმნიდეს მუშაობისა და დასვენების ისეთ პირობებს, რომ ისინი საერთო საქმეს მთელი გულისყურით ეკიდებოდნენ, თავაუღებლივ მუშაობდნენ. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ 80-იანი წლების მინათმოქმედს სურს ჰქონდეს ქალაქელის ყველა კომფორტი და ამასთან სოფლის სიკეთეც. ხალხი, ახალგაზრდობა მხოლოდ ამ პირობებში არ აიყრის გულს სოფელზე.

სწორედ ასე უდგებიან საქმეს, მთელი წარმოების ორგანიზაციას სახელმოხვეჭილი თავმჯდომარეები მ. ორგაგვილიძე, გ. ნინოლიძე, ა. კობაიძე, ი. ტარკილი, შ. კემულარია, ნ. ყოჩიაშვილი, თ. ცეცხლაძე, რ. ჩიხლაძე, ჯ. გუგუჩია და სხვები.

წარმოების ამ აღიარებულ მეთაურებს მხარს უსწორებენ ახალარჩეული თავმჯდომარეები, რომლებმაც ბეჯითი, ორგანიზმატორული მუშაობით, სიახლეთა ფართოდ დანერგვის მეოხებით, შრომასა და ანაზღაურებას შორის პირდაპირი მარტივი კავშირის შექმნით ჩამორჩენილი მეურნეობები წლეში გამართეს და მოწინავეთა რიგებში ჩააყენეს. მაგალითად, ზესტაფონის რაიონის სოფელ კლდეეთის კოლმეურნეობა წლების მანძილზე ჩამორჩენილი იყო, მაგრამ, რაც მას სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა შემოქმედი აგრონომი ა. ჭანკოტაძე, აგერ უკვე მესამე წელია ყოველგვარი ამინდის პირობებში ყველა სახეობის გეგმებს გადამეტებით ასრულებს, სტაბილური უნდი მოსავალი მოჰყავს.

მეურნეობათა ასეთი უნარიანი ხელმძღვანელები ბევრია რესპუბლიკაში, მაგრამ საპირისპირო მაგალითებიც საკმაოდ არის, როცა ნარმოების ხელმძღვანელის უნიათობა, სუსტი შრომის ორგანიზაცია და დისციპლინა, კონსერვატიზმი დაღს ასვამს საბოლოო შედეგებს.

მაგალითად, საჩხერის რაიონის სოფელ ცხამის, მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ზეგანის (თავმჯდომარეები ვ. ხარშილაძე და თ. გუმბერიძე) და სხვა კოლმეურნეობები, სადაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს ეფექტიანად არ იყენებენ, წლითიწლობით სახელმწიფოსაგან გულხალვათად იღებენ და იღებენ კრედიტს. სახელმწიფო მათ მილიონობით მანეთს აძლევს ხელფასისათვის, პრემიებისათვის, მივლინებისათვის და მთელი საწარმოო საქმიანობისათვის. თავმჯდომარეებს კი აინუნშიაც არ მოსდით, რომ ვალს გადახდა უნდა. ეტყობა, განუმტკიცდათ რწმენა, რომ სახელმწიფო მათ არ განსრიავს, დავალიანების დაფარვის ვადას გაუგრძელებს ან სულაც ჩამოაწერს სესხს.

რამდენია რესპუბლიკაში ასეთი ხელიდან წასული კოლმეურნეობა, სადაც საქმე დღითი დღე უკან-უკან მიდის, მაგრამ გამკითხველი არავინ არის, სადაც სახალხო დოვლათის შექმნისათვის მაინცდამაინც თავს დიდად არ იწუხებენ, მაგრამ მონეულ ჭირნახულს ბევრი ხელმრუდი თვალს ადგამს, ფერმაში იპარავენ საკვებს, რძეს, და არც ხბოსა და ბოჭის გაქრობაა იშვიათი. და განა ყოველივე ამას კოლმეურნეებს ვინმე გამოაპარებს? რამდენია სოფლებში ისეთი, რომელსაც სურს ხმა აღიმაღლოს ამგვარი უმსგავსობის გამო, მაგრამ თავმჯდომარის იმედი არა აქვს, დარწმუნებული არ არის იმაში, რომ ნელმძღვანელს გულნრფელად სურს ნესრიგი დაამყაროს კოლმეურნეობაში, იმუშაოს გულმოდგინედ და ხანგრძლივად.

ნესრიგისა და დისციპლინის დამყარების რწმენის ჩანერგვა კი თავგზნად, ფხიან და პრინციპულ თავმჯდომარეს ძალუძს.

მაშ ვიანგარიშოთ, შევაჯამოთ, ახალი უფრო მაღალი მიჯნები დავსახოთ, მეურნეობათა წინამძღოლებად ავირჩიოთ თავგზანი და ინიციატივიანი ორგანიზატორები.



ცხინვალის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ელექტრომოწყობილობის შემკეთებელი ქარხანა ერთადერთი ასეთი სახის საწარმოა ამირკავკასიაში. ქარხნის ახალგაზრდა კოლექტივი სულ წლინახევრისაა. კარგად ეხმიო რა თავიანთი როლი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ამოცანების გადაწყვეტაში, შემკეთებლებმა მაღალი მოჯნები დასახეს ხუთწლედის შუაგული წლისათვის, ვალდებულება იკისრეს დისციპლინის, თითოეულის საქმისათვის პასუხისმგებლობის გაზრდის გზით გამოუშვან ხარისხის მაღალი გარანტიის მქონე პროდუქცია. უკვე წელს საწარმო შეაკეთებს სოფლის რაიონებიდან შემოსულ 500 ათასი მანეთის ელექტროძრავას.

სურათზე: ბრიგადირი იური მამიტოვი და გადამხვეველი მურმან ალბოროვი არემონტებენ ელექტროძრავას.

ლ. გუსოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ბაზაფხულის შესახვედრად

ტექნიკისათვის ზრუნვა უხვი მოსავლისათვის ზრუნვას ნიშნავს

გორის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებმა, რომლებმაც ჯერ კიდევ შარშან შემოდგომაზე დაიწყეს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის სახოფლო-სამეურნეო მანქანების მომზადება, რესპუბლიკაში პირველებმა მთლიანად შეაკეთეს „კ-700“ და „ტ-150“ ტიპის ყველა ტრაქტორი. გაზაფხულისათვის ტექნიკის წარმატებით მომზადების მიზნით გაჩაღებული რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორთა წარმატება სარემონტო სამსახურის გამართული მუშაობის შედეგია. როგორ მიმდინარეობს ეს მუშაობა სხვა მეურნეობებში? საქინფორმის კორესპონდენტის თხოვნით ამის შესახებ გვესაუბრება საქსახოფლტექნიკის მანქანა-ტრაქტორების პარკის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების სამმართველოს უფროსი ი. პაპსაძე:

— რემონტის წარმატებით ჩატარებისათვის დროულად მომზადდა საბელოსნოები, ტრაქტორების, ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების სადგურები და პუნქტები. სარემონტო სამსახურის ზუსტმა ორგანიზაციამ რესპუბლიკის ბევრ მეურნეობას საშუალება მისცა შარშანდელზე სწრაფი ტემპით მოეწყო სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შეკეთება და პროფილაქტიკა. მაგალითად, სიღნაღის, ყვარლის, ბაბაშის, მახარაძის, ადიგენის რაიონებში გაზაფხულისათვის მომზადებულია ტრაქტორების, სხვა ტექნიკის 93-96 პროცენტი. გეგეჭკორის, ბორჯომის, ზესტაფონის, ხაშურის, ცაგერის რაიონებში მზაღყოფნის ხაზზე გაყვანილია ყველა სათესი აგრეგატი და ტრაქტორის გუთანი.

რესპუბლიკაში, საქსახოფლტექნიკის მონაცემებით, იანვრის პირველ დეკადაში მთლიანად შეკეთებულია ტრაქტორების 91 პროცენტი, ტრაქტორის გუთნების 93-95 პროცენტი, სათესელების, კულტივატორების, ფოცხების 89-92 პროცენტი. მანქანა-იარაღების ტექნიკური მზაობის დონე მნიშვნელოვნად აღემატება ერთი წლის წინანდელ დონეს. აქ თავისი როლი შეასრულა იმან, რომ ბევრ რაიონში დაინერგა მექანიზატორთა შრომის ანაზღაურების ახალი სისტემა — სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების საბოლოო შედეგების მიხედვით ანაზღაურების სისტემა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მათი პასუხისმგებლობა ტექნიკის დაცვა-შენახვისათვის, გამოსადეგობის ვადის გადიდებისათვის.

მაგრამ მთელი რიგი მეურნეობანი ჯერ ისევ ნელი ტემპით ამზადებენ ტექნიკას მინდვრის სამუშაოებისათვის. მაგალითად, სამხრეთ ოსეთის რაიონებში ტრაქტორების რემონტი შესრულებულია მხოლოდ 64 პროცენტით, ამბროლაურის რაიონში — 71 პროცენტით, ქალაქ ჭიათურის ზონაში — 77 პროცენტით. ტრაქტორის გუთნების მომზადებაში რამორჩენიან წალკის, ლანჩხუთის რაიონების, სათესელების მომზადებაში — თეთრი წყაროს, [illegible] ძის რაიონების მეურნეობები.

რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ცალკეა [illegible] რბო�ტო პრობლემაა საზღვარგარეთ წარმოებული საკვებდამამზადებელი კომბაინების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების საქმე. ახლა სისტემის სპეციალისტები სწავლობენ ლატვიელ მერემონტეთა გამოცდილებას და ითვისებენ ასეთი აგრეგატების შეკეთების ტექნოლოგიას. იგი უკვე საკვებწარმოების სეზონის დაწყებისათვის უნდა დაინერგოს საქსახოფლტექნიკის სიღნაღის გაერთიანების საწარმოებში.

სისტემის შესაბამისმა სამსახურებმა გაითვალისწინეს, რომ ამინდის პირობები ხშირად აახლოებს მინდვრის სამუშაოთა ვადებს და დროულად იზრუნეს, რათა შეექმნათ საწვავ-საპოხი მასალების მარაგი და მოეგვარებინათ მეურნეობებისათვის მათი ოპერატიული მიწოდება.

მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანების შეკეთებასთან დაკავშირებით. სახელოსნოები ცუდად მარაგდებიან სათადარიგო ნაწილებით. და აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული ქარხანა „საქსოფლმანქანაზე“, რომელიც აგვიანებს მათს გამოგზავნას.

საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა „საქსოფლმანქანის“ ქარხნის დირექტორს თ. სტურუას განმარტა ეს ფაქტი.

— უკვე დაიწყო სათადარიგო ნაწილების გაგზავნა, — თქვა მან, — უახლოეს დღეებში საქსახსოფლტექნიკის ქუთაისის ბაზა მიიღებს ხელის ჩაის ფოთლის საკრეფი აპარატებისათვის განკუთვნილი დეტალების წლიური ფონდის 80 პროცენტს. რაც შეეხება სათადარიგო ნაწილებს ჩაის ფოთლის საკრეფი მობილური მანქანებისათვის, მათი გაგზავნა 25 იანვრიდან დაიწყება. მათზე მოთხოვნილება მთლიანად და დადგენილ ვადებში იქნება დაკმაყოფილებული.

ლიხაურელ მეცხოველეთა გარჯა

მახარაძე. (საკ. კორ). ლიხაურის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის (გამგე ლ. გორდულაძე) მუშაკები ერთ-ერთი მოწინავენი არიან რაიონში. ზოოვეტერინარული მომსახურების გაუმჯობესებით, მტკიცე საკვების რაციონალურად ხარჯვითა და პასუხისმგებლობის ამაღლებით მათ ჩინებული შედეგებით დაამთავრეს შარშანდელი წელი.

აქ მიმდინარე წლის პირველ დღეებშივე „ფიზიზარდა“ რძის წარმოება. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ყოველდღიურად 30-40 კილოგრამით მეტ რძეს აწარმოებენ.

წარჩინებული მწველადავები შურა კრიშტალოვა, მანია, მიტო ცეცხლაძეები, ვერა გომრონიძე სანიმუშოდ უელიან გაპიროვნებულ პირუტყვს, პირობას იძლევიან წლეულს თითოეული ფურიდან მიიღონ სულ ცოტა 2.500-2.600 კილოგრამი რძე.

„კომუნისტი“ ეძიებს რეზერვებს

სნოსა და თერგის „მორჯულება“

ყაზბეგის რაიონის ეკონომიკის ძირითადი მესაზრდოებელი მეცხვარეობაა. ზაფხულობით აქ მთებში ბალახობს რაიონის ხუთივე კოლმეურნეობისა და მოსახლეობის ცხვარი, ზამთრობით — ჟასპიისპირეთში. სასურსათო პროგრამის განხორციელება ჩოითხოვს მეცხვარეობის მეტ აღმავლობას და კიდევ დღის წესრიგში დადგა მესაქონლეობის განვითარება. ყაზბეგის კოლმეურნეობებს აქამდე ძროხები არ ჰყავდათ. ახლა ერთ კოლმეურნეობაში ააგეს ფერმა, სადაც 80 სულ ფურს ინახავენ. ხუთწლედის ბოლოს კი 300 სული უნდა იყოლიონ. ამის განხორციელება კი არც ისე იოლია, რადგან საზაფხულო საძოვრები ცხვარსაც ძლივს ჰყოფნის, ხოლო სათიბები აქ თითქმის არ არის. რაც არის, ისიც ეროზირებულია და ვერ იყენებენ. ყაზბეგის რაიონის ხელძღვანელობა მაინც ფიქრობს, რომ სასურსათო პროგრამის განხორციელების დროს მარტო მეცხვარეობის შემდგომი განვითარებით არ შემოიფარგლოს.

ამ რამდენიმე წლის წინათ შეჩუშავდა რაიონის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების გეგმა. იგი დაამტკიცა ზემდგომმა ორგანოებმა. დადგენილებაში ნათქვამია: „1980-1985 წლებში გამაგრდეს ადინარეების თერგისა და სნოს ნაპირები 11 კილომეტრ სიგრძეზე.“

ამ დადგენილების განხორციელება ყაზბეგის რაიონისათვის მეტად საჭირო საქმეა. უკვე კარგა ხანია, რაც თერგი და სნო ავიწროებენ და წალეკვით ემუქრებიან სნოს, კარკეჩის და სხვა სოფლებსაც.

1981 წლის გაზაფხულზე საქმთავარწყალშენის ტრესტის პირველმა უბანმა (უფროსი — ნ. კილაბერიძე) დაიწყო სნოს „მორჯულება“. იმავე წელს 300 ათასი მანეთის სამუშაოები შეასრულეს.

სნოს ნაპირის გამაგრება რთული საქმეა. ჯერ ერთი, მაღალმთიან რაიონში ძნელდება თანამედროვე სამშენებლო ტექნიკის გამოყენება, არც ადგილობრივი სპეციალისტები იყენენ საკმარისი, რომლებიც შესძლებდნენ მექანიზმების მართვას. ყველაფერი შეიტანა 40.000 ტონა სილოს, ნაცვლად საგეგმო 30.290 ტონისა, 15.000 ტონა სენაჟს, ვეგმაზე 1 ათასი ტონით მეტს, 5.500 ტონა თივას.

მრეწველობაში 1983 წლის გეგმა შესრულდება 25 დეკემბრისათვის. გამოვუშვებთ 16.400 ათასი მანეთის პროდუქციას, ნაცვლად საგეგმო 16.200 ათასი მანეთისა. ეხშეშნელოვნად გაუმჯობესდება პროდუქციის ხარისხი. შრომის ნაყოფიერება 1982 წელთან შედარებით გაიზრდება 5 პროცენტით.

ტრანსპორტის დარგის მუშაკები 1983 წლის ყველა სახის დავალებებს შეასრულებენ 25 დეკემბრისათვის. გეგმის გადამეტებით გადაზიდავენ 20 ათას ტონა ტვირთს და გადაიყვანენ 250 ათას მგზავრს. გაუჯობესდება ტექნიკური და საექსპლოატაციო მაჩვენებლები.

მომსახურების სფეროში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდება მომხმარებელთა კულტურული მომსახურების დონის ასამაღლებლად, განმტკიცდება სახელმწიფო და შრომის დისციპლინა. სამომხმარებლო კოოპერაციაში საქონელბრუნვის გეგმა შესრულდება 28 დეკემბრამდე, მოსახლეობას გეგმასთან შედარებით მიეყიდება 50 ათასი მანეთით მეტი ღირებულების სამრეწველო და სასურსათო საქონელი. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში 1983 წლის გეგმები შესრულდება 28 დეკემბრისათვის. მომსახურების მოცულობა 280 ათასი მანეთიდან გაიზრდება 294 ათას მანეთამდე.

რაიონის მშრომელები, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ XXVI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, წარმატებით შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს. დისციპლინის განმტკიცებით მიიღწევენ მაღალ შრომითს მაჩვენებლებს.

ხუთწლედის მესამე წლის გეგმას ვადამდე შეასრულებთ

აბაშის რაიონის მშრომელთა 1983 წლის სოციალისტური ვალდებულებანი

საქაქვშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში რვაგზის გამარჯვებული აბაშის რაიონის მშრომელები ახალი ძალით აჩაღებენ ბრძოლას სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მიზანდასახულობათა განხორციელებისათვის და კისრულობენ შემდეგ ვალდებულებებს:

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონის ყოველმხრივი გაფართოების, შრომის ნაყოფიერების ინტენსიფიკაციის, წარმოების კულტურის შემდგომი ამაღლების, მშრომელთა მორალური და მატერიალური სტიმულირების გაუმჯობესების, არსებული რეზერვების მაქსიმალური ამოქმედების, პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცების გზით მივაღწიეთ რაიონის სოფლის მეურნეობის შემდგომ ინტენსიურ განვითარებას. საზოგადოებრივ მეურნეობებში სიმინდის საშუალო ჰექტარობრივ მოსავლიანობას გავადიდებთ 47 ცენტნერამდე, ბოსტნეულისას — 130 ცენტნერამდე, სოიისას — 17 ცენტნერამდე. გაწარმოებთ 19 ათას ტონა სიმინდის მარცვალს, ნაცვლად საგეგმო 17,7 ათასი ტონისა, 6,5 ათას ტონა ბოსტნეულს, 900 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს, სახელმწიფოს მივყიდით საგეგმოზე 500 ტონით მეტ მარცვალს, 1000 ტონით მეტ ბოსტნეულს.

რაიონის მეცხოველეობა ვალდებულებაა 1983 წელს მიაღწიონ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის მკვეთრ ზრდას. საშუალო წველადობა გაიზრდება 2.100 კილოგრამამდე, ნაცვლად საგეგმო 1984 კილოგრამისა, 100 ძროხაზე მიღებული იქნება 75 ნამატი. წარმოებული იქნება 2.500 ტონა ხორცი, საგეგმოზე 150 ტონით მეტი, რძის წარმოება მიაღწევს 6000 ტონას, გეგმაზე 952 ტონით მეტს. სახელმწიფოს მივყიდით 3050 ტონა ხორცს, საგეგმოზე 350 ტონით მეტს; 5.100 ტონა რძეს. გასაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას, ვაწარმოებთ 40.000 ტონა სილოსს, ნაცვლად საგეგმო 30.290 ტონისა, 15.000 ტონა სენაჟს, ვეგმაზე 1 ათასი ტონით მეტს, 5.500 ტონა თივას.

1983 წლის ბოლოს ბაზის ფერმებში ექნებათ 25 ფაზანი, 1984 წლის ბოლოს — 50 ფაზანი, 1985 წლის ბოლოს — 100 ფაზანი. ფაზანებისა და ბეღურების ბუნებრივ ბაზაზე ფაზანოვანი ფერმა ორ-სამ ეტაპად ეტაპობრივ

19 იანვარი

ყოველთვიური

ფაქტები მოვლენები

საკლუბო იუწყება

როგორი უნდა იყოს 80-იანი წლების თავმჯდომარე

სოფელმა მოგანდო თავკაცობა. ეს დიდზე დიდი ნდობაა. თუ კარგად იცი რას ნიშნავს თავკაცობა და არ ასრულებ შენს მოვალეობას, ეს არა მარტო გულგრილობა, უპასუხისმგებლობა და უდისციპლინობაა, არამედ უფრო მეტია — სოფლის ღალატია. ღალატი კი არავის ეპატიება...

...და თუ თავმჯდომარედ აგირჩიეს, ეს ნიშნავს, რომ შენ სოფლის თავში მჯდომარე, სოფლის პირველი კაცი ხარ და პირველ კაცს მართლაც, უწინარესად თადარიგიანი, გულდამჯერებული და გულდინჯი პირველკაცობა მოეკითხება, რამეთუ იგი სოფლის სარკეა.

კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც „კომუნისტის“ ფურცლებზე დაიბეჭდა გურჯაანის რაიონის ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ ახალგაზრდებთან გამართული საუბარი სათაურით — „ყურადღება, თავმჯდომარეს ირჩევენ!“.

რედაქცია მკითხველებს სთხოვდა გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრება საუბარში აღძრულ საკითხებზე. ზოგმა საანგარიშო-საარჩევნო კრების მსვლელობის, ზოგმა კი კრების შემდეგ გამოგვიგზავნა წერილი. ამ საკითხზე რედაქციამ ასამდე წერილი მიიღო. ჩვენ გულდასმით გავეცანით წერილებში აღძრულ მეტად საყურადღებო მოსაზრებებს და გადავწყვიტეთ კოლმეურნეობებში საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროს ზოგიერთი მშრომელის მოსაზრება გაგაცნოთ. აი რას გვწერს ვეტერანი თავმჯდომარე **ა. გონაშვილი:**

„ორ ათეულ წელზე მეტი ვიყავი საზოგადოებრივი მეურნეობის ხელმძღვანელი. დიდხანს ვმუშაობდი წითელწყაროს რაიონის არბოშიკის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. მერე კი პენსიაზე გასვლამდე რამდენიმე წელიწადი მეურნეობის დირექტორი ვიყავი.

მე სულ სხვა დროს მომიხდა კოლმეურნეობის თავმჯდომარეობა. მაშინ სოფლად არცთუ ისე ძლიერი კოლმეურნეობები იყო. ჩემი სოფლის წინამძღოლად ყოფნის დროს ვეფხებები მცირე ფართობზე გვქონდა გაშენებული, მაგრამ რაც გვქონდა, სანაქებოდ მოვლილი იყო, თანაც თითქმის უმანქანებოდ ვამუშავებდით ზვრებს. ყოველ ნაბეგი მესაკლისათვის რამდენიმე მევენახეს სოციალისტური შრომის გმირობაც დაიმსახურა.

ოთხმოციანი წლების თავმჯდომარეს უწინარესად დიდი განათლება უნდა ჰქონდეს, კარგად უნდა ეოცნებოდეს არა მარტო საკუთარი რაიონისა და სოფლის ეკონომიკაში, არამედ მთელი ქვეყნისა და რესპუბლიკის, თავისი სოფლის ავ-კარგი, რომ იტყვიან, საკუთარი ხუთი თითივით უნდა იცოდეს.

არბოშიკში თავმჯდომარედ ყოფნის დროს ინტუიციამ და ჩვენი მიწების შესაძლებლობამ მიკარნახა, რომ კოლმეურნეობა გაძლიერდებოდა, თუ მევენახეობა, მემინდვრეობა და მეცხოველეობა განვითარდებოდა. ეს ასეც მოხდა, ჩვენმა მევენახემ მატრო ალავერდაშვილმა შრომის გმირობა რომ დაიმსახურა, ასე იოლად არ მომხდარა. მისი რგოლის მევენახეები მთელ საქართველოში იყვნენ განთქმული. მატროს კარგი მერგოლურობის ამბავი ყველამ იცოდა, მაგრამ შესანიშნავი მეუღლე, დედა და მეოჯახე რომ იყო, ბევრს იქნებ არც სმენია. უნდა ვენახოთ სახეიმო შერეულაზე წასასვლელად როგორ საგანგებოდ გამოეწყობოდა, ქართულ კაბას ჩაიცვამდა, ლეჩაქს დაიხურავდა და ჩიხტი-კოპს დაიდგამდა თავზე! ამ კოლმეურნეობიდან სოციალისტური შრომის გმირობა დაიმსახურეს ანეტა სეხნაშვილმა და მარგო ჯამალაშვილმა. ამით იცით რის თქმა მინდა: თავმჯდომარემ სხვისი შრომა თავისაზე უფრო მეტად უნდა დააფასოს, თუ უნდა, რომ სოფელმა შეიყვაროს და ყოველთვის პატივისცემით მოიხსენოს“.

საზოგადოებრივი მეურნეობის თავკაცის პიროვნება სოფელში არა მარტო კოლმეურნეებს, არამედ ინტელიგენციის წარმომადგენლებსაც ინტერესებთ.

აი რას გვწერს თელავის რაიონის რუისპირის საშუალო სკოლის მასწავლებელი **ა. ლაბუჩარაშვილი:**

„ჩემი აზრით თავმჯდომარე თავისი სოფლისა და მშრომელების მოსიყვარულე უნდა იყოს. აუცილებლად უმაღლესი განათლება უნდა ჰქონდეს (თუ კოლმეურნეობაში მთავარი დარგი მევენახეობა-მებაღეობაა, მაშინ უმჯობესია ხელმძღვანელი ამ დარგის სპეციალისტი იყოს, თუ მეცხოველეობა სჭარბობს, თავკაცი ზოოტექნიკოსი ან ვეტექიმი უნდა იყოს), მოუსყიდავი ხასიათის უნდა იყოს და რჩეულთა შორის რჩეული კაცის რეპუტაცია უნდა ჰქონდეს. იგი ბუნებით სპეტაკი და ზედმიწევნით დისციპლინაში უნდა იყოს და თანასოფლელები მასში დამხმარესა და უახლოეს მეგობარს უნდა ხედავდნენ. მე რომ თავმჯდომარე ვიყო, რა თქმა უნდა, ერთბაშად კი არა, თანდათანობით, მაგრამ რამდენიმე თვეში კოლმეურნეთა, სოფლის მშრომელთა, ყველა ოჯახში მივიდოდი, გავეცნობოდი მათს ავ-კარგს. ამით დიდ საქმეს გავაკეთებდი. როცა კაცმა ყველას ასავალ-დასავალი იცის, იგი ოჯახური საკითხის გადაწყვეტაშიც არ შეცდება. ამასთან ახალი თავმჯდომარის არჩევის დროს სხვაგან არ უნდა ვეძიოთ კანდიდატურა, თანასოფლელ ახალგაზრდებს უნდა ვეხდოთ. ახალბედა თავმჯდომარეებმა კარგად უნდა შეინსწავლონ მიხაკო ორაგვლიძის, ნიკო მამაიაშვილის, არსენ კობაიძის, გივი წითლიძის, ნიკო ყორიაშვილის და სხვათა გამოცდილება. ყველა მათგანისაგან საუკეთესო ჩვევები უნდა შეითვისონ“.

წერილების **ავტორთა ერთი ნაწილი** ყურადღებას ამახვილებს თავმჯდომარის მუშაობის დღის რეჟიმზე, დისციპლინაზე, იმაზე, თუ წლის რომელ თვეში უნდა ისარგებლოს შვებულებით. ხშირად საერთო საქმისათვის, პირადი კეთილდღეობისათვის ზრუნვა გვერდზე უნდა გადადგოს. ამით სოფლის საქმე წინ წავა და თვითონაც არა დაუშავდება რა. თავმჯდომარის ასეთ კარგ თვისებებს ეხება ზუგდიდის რაიონის ს. ურთის მცხოვრების **ე. აკობიას** წერილი, რომელიც თავიანთი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს დ. კოდუას საქმიანობაზე ლაპარაკობს. ასეთივე აზრისაა · თავიანთი კოლმეურნეობის თავმჯდომარეზე ორჯონიკიძის რაიონის მაქათუბნის მცხოვრები **გ. კუპრაძე.**

ბორჯომის რაიონის სოფელ ტბის მცხოვრები **ა. ლურსმანაშვილი** კოლმეურნეობის ეკონომიკას გულდასმით აანალიზებს, სახავს ჩამორჩენიდან თავდაღწევის გზებს. მისი მოსაზრება მშობლიური სოფლის კეთილდღეობით არის ნაკარნახევი და დაასკვნის, რომ მზად არის კოლმეურნეობას დაეხმაროს საკვების წარმოებაში, საკარმიდამოში იყოლიებს 2-3 ძროხას და ხოროცისა და რძის წარმოებაში საკუთარ წვლილს შეიტანს, სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევს რესპუბლიკის ვეტერან კოლმეურნეებს. თავისი სოფლის ხელმძღვანელის მოღვაწეობას იწონებს და საკარმიდამოზე ხოროცის წარმოების ვალდებულებას კისრულობს აგრეთვე საჩხერის რაიონის ჟორვილას მცხოვრები **ო. წერეთელი.**

თავმჯდომარის პატიოსნებისა და დისციპლინის საკითხს მკაცრად აყენებს თავის ვრცელ წერილში თელაველი **მ. დავითაშვილი.** და ზოგადად, მაგრამ პრინციპულად მოითხოვს იმ თავმჯდომარეთა გადარჩევას, რომლებიც უწინარესად პირად კეთილდღეობაზე ზრუნავენ. თითქმის ამასვე მოითხოვს თბილისელი პენსიონერი (ადრე საჩხერის რაიონის სოფელ ჯალაურთის კომკავშირელთა წინამძღოლი, შემდეგ — შინაგან საქმეთა ორგანოებში ხანგრძლივად ნამუშევარი) **ა. კაპანაძე.** ამავე აზრისაა მარნეულის რაიონის ს. ოფრეთში მცხოვრები **ფ. ჯიბინაძე.**

თავიანთი სოფლის ხელმძღვანელის უკეთურობასა და უგულგრილობას ამხელენ ლენინგორის რაიონის ბალაანის მცხოვრები **ვ. ბალაშვილი** და სხვები. ასევე გულისტკივილით გვწერს თავისი სოფლის—გარდაბნის რაიონის სამგორის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელების ნაკლოვანებებზე **ა. ბეგაშვილი.** ქ. ტყიბულის ზონის ცუღესთის კოლმეურნეობის ავ-კარგზე გვწერენ ამავე „კოლმეურნეობის წევრები. ვინ? გვარს არავინ აწერს. ისინი უამრავ უარყოფით ფაქტს, დანაშაულობებსაც კი ამხელენენ. ბევრი ნაკლი აქვს ჩამოთვლილი თავის წერილში **ზ. ირემაშვილს.** იგი ამხელს მცხეთის რაიონის წეროვნის საბჭოთა მეურნეობის ნაკლოვანებებს. თავიანთი კოლმეურნეობის ავ-კარგზე სანტერესოდ მოგვითხრობს საჩხერის რაიონის ჩიხის კოლმეურნეობის ვეტერანი, პენსიონერი **გ. ღუღუნაშვილი.** ივანდიდის (წულუკიძის რაიონი) კოლმეურნეობის გამგეობის მუშაობის ნაკლოვანებებს ამხელენ **გ. არლავი, დ. ხეცურიანი, ი. ჩიქოვანი, გ. ტაბიძე, ნ. ქუთათელაძე.** ასევე თავისი სოფლის ზარვეზებზე გვწერს ბორჯომის რაიონის ტაძრისის მცხოვრები **ნ. სამსონიძე.** აქ ჩამოთვლილი საზოგადოებრივი მეურნეობების ნაკლოვანებათა შესწავლა-დადგენა რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების გადაუდებელი ამოცანაა. მათ შეუძლიათ ეს გააკეთონ მიმდინარე საანგარიშო-საარჩევნო კრებების მსვლელობის დროს და მშრომელებს მოახსენონ, თუ რა არის მართალი და ტყუილი ამ წერილების ავტორთა მონათხრობში, ერთს კი დავძენთ: არც სოფლისა და, მით უმეტეს, არც რაიონის ხელმძღვანელებმა აქ მოყვანილი წერილების ავტორებს, რომლებსაც გული შესტკივათ თავიანთი მეურნეობის ავ-კარგზე, ლევნა და შევიწროება კი არ უნდა დაუწყონ. პირიქით, დადასტურებული ფაქტების შესახებ სიმართლის თქმა უნდა მოუწონონ, ნაკლი გამოასწორონ.

რედაქცია მადლობას უხდის ყველა წერილის ავტორს, რომლებმაც თავიანთი მოსაზრებანი გამოგვიგზავნეს. მათ შორის განსაკუთრებით **გ. ქართველიშვილს** (ხელვაჩაურის რაიონი), **ვ. თაქთაქიძეს** (ახალციხის რაიონი), **ა. კვარაცხელიას** (წალენჯიხის რაიონი), **მ. ლატარიას** (ხობის რაიონი), **ვ. ქუთათელაძეს** (ქ. წყალტუბოს ზონა), **შ. რაბათელს** (გორის რაიონი), **ვ. ბაბალოძეს** (მახარაძის რაიონი), **ც. სეფიაშვილს** (წოთელწყაროს რაიონი) და ბევრ სხვას, რომლებმაც თავიანთი ღრმაშინაარსიანი, საქმიანი წერილები გამოუგზავნეს რედაქციას.

ბოლოს ერთი საინტერესო წინადადების ავტორის გვარი უნდა მოვიყვანოთ. ეს გახლავთ საჩხერის რაიონის სოფელ ორღოლის კოლმეურნე **ბონდო ბიჭაშვილი,** რომელიც გაზეთისათვის გვთავაზობს ახალ რუბრიკას „მე რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვიყო“. ამასთან მას წერილში მოჰყავს საინტერესო მოსაზრებანი იმის შესახებ, თუ როგორ მოიქცეოდა თვითონ, თავმჯდომარე რომ იყოს. ამით იგი თავმჯდომარეობას კი არ მოითხოვს! ის უფრჩევს თავისი სოფლის ხელმძღვანელობას, რომ ნიადაგ სიკეთე თესონ და საგულისმო რჩევებსაც სთავაზობს.

კვლავაც ველით თქვენს წერილებს, მეგობრებო.

ვ. გოზალიშვილი.

მოლაპარაკება გრძელდება

ბონი. აქ გაიმართა ა. ა. გრომიკოსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის ჰ. კოლის საუბარი.

საუბრის დროს, რომელსაც სამეგობრო და გულახდილი ხასიათი ჰქონდა, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის პრობლემას. „ა. ა. გრომიკომ ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირი მზადაა რადიკალურად შეამციროს ევროპის ზონაში საშუალო სიშორის თავისი ბირთვული საშუალებანი, მათ შორის ყველაზე თანამედროვე რაკეტები იმ დონემდე, რომელიც არ აღემატება ჩრდილოატლანტიკური კავშირის წევრი სახელმწიფოების — დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის შეიარაღებას.

შეხვედრის დროს გამოთქვეს იმედი, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა მთელ თავის შესაძლებლობებს გამოიყენებს, რათა ხელი შეუწყოს გარდატეხას საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებაში და მის წარმატებით დამთავრებას. ამასთან დაკავშირებით კანცლერის ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ მოლაპარაკების წარმატებისათვის საჭიროა შეწყდეს ამ მოლაპარაკებისადმი ყოველგვარი ზეგავლენა, მათ შორის რიმე მკაცი ვადების დადგენის თვალსაზრისითაც.

ა. ა. გრომიკომ და ჰ. კოლმა მხარი დაუჭირეს სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის დადებულ ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა ზუსტად დაცვას, კონკრეტული შინაარსით მათ შემდგომ შევსებას.

• • •

ა. ა. გრომიკო ესაუბრა აგრეთვე ქრისტიანულ-სოციალური კავშირის თავმჯდომარეს ფ.-ი. შტრაუსს. საუბრის დროს შეეხნენ მსოფლიოში და ევროპაში მოვლენების განვითარების ზოგიერთ აქტუალურ პრობლემას, აგრეთვე სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ორმხრივი ურთიერთობის საკითხებს.

ბონი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო შეხვდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეს ვ. ბრანდტს.

მათ ერთმანეთს გაუზიარეს აზრი უწინარეს ყოვლისა გამოლებული შეიარაღების შეწყვეტისა და ვშვიდობის განმტკიცების შესახებ.

ორივე მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ უაღრესად საჭიროა ყოველივე იმ დადებითის შენარჩუნება და შემდგომი გამრავლება, რაც 70-იანი წლების დამდეგიდან მიღწეულია საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობაში მოსკოვის ხელშეკრულებისა და სხვა არსებული შეთანხმებების მტკიცე საფუძველზე.

ამერიკელი და ავანტიურისტული ნაბიჯი

ქაბული. სამხრეთ-დასავლეთი აზიისათვის ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სარდლობის შექმნა კიდევ ერთი აგრესიული და ავანტიურისტული ნაბიჯია, რომლის მიზანია სხვა ქვეყნების ხაზინაო საქმეებში ამერიკის ჩარევის გაფართოება, გამალებული შეიარაღების გაძლიერება და ნეოკოლონიალისტური, მძარცველური გეგმების განხორციელება. ეს განუცხადა ბაბთარის საგენტოს ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა.

ამერიკის იმპერიალიზმი, რომელმაც საერთაშორისო ჟანდარმის როლი იკისრა იმისათვის, რომ დაიცვას კაპიტალისტური სამყაროს ინტერესები, ცდილობს თავისი ნება მოახვიოს რეგიონის ხალხებს, შექმნას დაბრკოლებები განთავისუფლების, ეროვნული ეკონომიკის განმტკიცებისათვის მათი ბრძოლის გზაზე.

ამით ამერიკის იმპერიალიზმი, აღნიშნა საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, საფრთხეს უქმნის მშვიდობას სამხრეთ-დასავლეთ აზიაში.

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩართვა ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სარდლობის მოქმედების ზონაში — ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო საქმეებში ამერიკის იმპერიალიზმის ჩარევის აშკარა ფაქტია, ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ გამოუცხადებელი ომის გაგრძელების ახალი დადასტურებაა, სერიოზული საფრთხეა რეგიონის სახელმწიფოების დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის, განაცხადა საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა.

ავღანელი ხალხი, რომელიც გმირულად იბრძვის თავისი ქვეყნის საშინაო საქმეებში იმპერიალიზმის თავხედური ჩარევის წინააღმდეგ, თქვა მან, გადაჭრით გმობს ამერიკის ადმინისტრაციის ამ ნაბიჯს და აგრესიულ აქციად მიიჩნევს მას.

ავღანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

ფოტოფაქტი

საზღვარგარეთ მოალათებული ავღანელი კონტრრევოლუციონერები, რომლებიც მიმართავენ ტერორს და საერთაშორისო იმპერიალიზმის მხარდაჭერით სარგებლობენ, ცდილობენ ხელი შეუშალონ ავღანეთში ახალი ცხოვრების მშენებლობას. ეგრეთ წოდებულმა „თავისუფლებისათვის მებრძოლებმა“ და „ისლამის დამცველებმა“ დაანგრიეს ორი ათასამდე ლიცეუმი და სკოლა, მხეცურად მოკლეს 100 თვალსაჩინო რელიგიური მოღვაწე.

სურათზე: ბანდიტების მიერ დანგრეული სკოლა ქალაქ ღაზნის რაიონში.

საკლესიო ფოტო.

პრესა ადასტურებს

ფოლკლენდი ამერიკისა და ინგლისის გეგმებში

პარიზი. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს — ნატოს აგრესიული სამხედრო ბლოკის პარტნიორებს — ჩაფიქრებული აქვთ ფოლკლენდის (მალვინის კუნძულების) მილიტარიზაციის გაძლიერების, სამხრეთ ატლანტიკაში თავიანთ დასაყრდენ ბაზად მათი გადაქცევის გეგმები.

როგორც პარიზში გამომავალი ჟურნალი „პოლიტიკ ეტრანჟერი“ იუწყება, პენტაგონს განზრახული აქვს ფოლკლენდის კუნძულებზე შექმნას თავისი სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზა. ასეთი ბაზა, ხაზგასმით აღნიშნავს ჟურნალი, შეერთებულ შტატებს საშუალებას მისცემს თავისი „კონტროლი დაუწესოს არა მარტო ლათინური ამერიკის სამხრეთს.

მომმახილველები ამასთან დაკავშირებით აღნიშნავენ, რომ ვაშინგტონმა შარშან შემთხვევითი როდი დაუჭირა მხარი დიდ ბრიტანეთს ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულების დროს. მისი მიზანია განმტკიცდეს სამხრეთ ატლანტიკაში, განსორციელოს თავისი „ეგიდით ნატოს მსგავსი სამხრეთატლანტიკური ბლოკის შექმნის დიდი ხნის წინათ ჩაფიქრებული გეგმები. ამასთან პენტაგონის სტრატეგები აპირებენ ამ ბლოკში შეიყვანონ არა მარტო სამხრეთ ამერიკის მთელი რიგი ქვეყნები, არამედ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაც.

ამავამად ინგლისი ზრდის თავის სამხედრო ყოფნას არქიპელაგზე. იქ უკვე თავმოყრილია ოთხი ათასზე მეტი ინგლისელი ჯარისკაცი და ოფიცერი, სამხედრო-საზღვაო ძალების დიდი ნაწილი.

ახლახან პრემიერ-მინისტრმა მ. ტეტჩერმა იმოგზაურა ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულებზე, რაც მოწმობს, რომ კონსერვატორთა მთავრობას განზრახული აქვს ფანგრძოს კოლონიალისტური და ექსპანსიონისტური პოლიტიკა. მოახდინოს არქიპელაგის მილიტარიზაცია..

● ბელგია

უშედეგო სესია

ბრიუსელი. უშედეგოდ დამთავრდა სოფლის მეურნეობის მინისტრების დონეზე ევროპის ეკონომიკური გაერთიანების მინისტრთა საბჭოს ორდინარული სხდომა. არსებითი უთანხმოებების გამო მისი მონაწილენი იძულებული გახდნენ გადაედოთ განხილულ პრობლემებზე კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღება.

ევროპის გაერთიანებათა კომისიის წინადადებამ, რომ 1983-1984 წლებში „ითეულის“ აგრარული პროდუქციის შესასყიდი ფასები საშუალოდ 3,4 პროცენტით გაზარდონ, „მცირე ევროპის“ მთელი რიგი ქვეყნების, აგრეთვე ფერმერთა ორგანიზაციების გულისწყრომა გამოიწვია, რომლებიც მინისტრებისაგან აღნიშნული ფასების საშუალოდ 7 პროცენტით გაზრდას მოითხოვენ.

● ვიეტნამი — ჩინეთი

ახალი კონსტრუქციული წინადადება

პანმი. ვიეტნამის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჩინეთის მხარეს მიმართა მოწოდებით ვიეტნამისა და ჩინეთის საზღვრისპირა რაიონების მცხოვრებთათვის უზრუნველყოს ნორმალური პირობები მთავრობის კალენდრით ახალი წლის შესახვედრად. ამასთან დაკავშირებით ვიეტნამის საგარეო საქმეთა სამინისტრომ წინადადება წამოაყენა შეწყდეს ყოველგვარი შეიარაღებული მოქმედება საზღვარზე 1983 წლის 5-დან 19 თებერვლამდე.

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტრუქციული წინადადება, ნათქვამია ნოტაში, გამოხატავს ვიეტნამელი და ჩინელი ხალხების ნებას, მეზობად ისახვეს ორი ქვეყნის საზღვარზე დაძაბულობის შენელებას, ხელს უწყობს სადავო საკითხების გადაწყვეტისათვის კეთილსასურველი პირობების შექმნას.

უშიშროების საბჭოში

მანდატი გააგრძელეს

ნიუ-იორკი. უშიშროების საბჭომ კიდევ ექვსი თვით — 1983 წლის 19 ივლისამდე გაუგრძელა მანდატი ლიბანში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებლებს. საბჭოს სხდომაზე მიღებულ რეზოლუციაში ლაპარაკია ძალების ახლანდელი მანდატის გაგრძელებაზე, რომელიც, როგორც ცნობილია, შემოიღეს 425-ე რეზოლუციით (1978 წელს) და ითვალისწინებდა, რომ მათს ფუნქციებში შეიდიოდა „ისრაელის ჯარების გამოყვანის დამოწმება, მშვიდობისა და უშიშროების აღდგენა.“

ახლანდელი მანდატი შეინარჩუნეს უშიშროების საბჭოს წევრებმა ამერიკის შეერთებული შტატების და ისრაელის უხეში ზემოქმედების მიუხედავად, რომლებიც ცდილობდნენ შეეცვალათ ძალების სტატუსი და გამოეყენებინათ ისინი ლიბანის მიწა-წყალზე თავიანთი ინტერესების სასარგებლოდ.

ბანდიტი

ნიუ-იორკი. უშიშროების საბჭომ კიდევ ექვსი თვით — 1983 წლის 19 ივლისამდე გაუგრძელა [illegible]

... ვერ ... ბაზაზე

[illegible]

... ინგლისელ ...

[illegible]

... ეკონომიკა

[illegible]

... ეროვნული

[illegible]

... ეროვნული

[illegible]

... ეროვნული

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

ზრუნვა მშრომელი ქალისათვის

თბილისის 1 მაისის საზეიმოების სამკერვალო ფაბრიკაში წარმატებით დანერგილი არასრული სამუშაო დღის რეჟიმი უზრუნველყოფს სამუშაო დროის დანაკარგებისა და კადრების დენადობის მკვეთრ შემცირებას. ამ რეჟიმით მომუშავე ქალთა ბრიგადებში არა აქვთ ცვლებსშორისი დანაკარგები, ხოლო მთლიანად წლის მანძილზე სამუშაო დროის დანაკარგებმა, მაგალითად, აქ მხოლოდ 0,17 პროცენტი შეადგინა, მაშინ როცა ეს მაჩვენებელი ერთიორად უფრო მაღალია სრული სამუშაო დღით მომუშავე ბრიგადებში. ამ ბრიგადებში ორჯერ-სამჯერ მეტია კადრების დენადობაც. როგორც პრაქტიკა მოწმობს, მუშაობის ასეთი ფორმის დანერგვა უზრუნველყოფს ქალების მიერ მშრომელისა და დედის ფუნქციების წარმატებით შეთავსებასაც.

ეს ფაქტი მოიყვანეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედათა და ბავშვთა დაცვის საკითხთა მუდმივი კომისიის სხდომაზე, რომელმაც განიხილა საკითხი იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში ქალის შრომა გამოიყენონ არასრული სამუშაო დღის, არასრული სამუშაო კვირის რეჟიმით, შინაგანლსონის პირობებით. აღინიშნა, რომ აქ მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, მათი აქტიურობის ამაღლებისათვის, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში მათი ფართო ჩაბმისათვის. დეპუტატებმა ერნენს აგრეთვე ამ საქმეში ჯერ კიდევ არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი.

კერძოდ, არასრული სამუშაო დღით, არასრული სამუშაო კვირის რეჟიმით სამინისტროს საწარმოებში დასაქმებულია მარტო 634 ქალი. ეს სისტემის მუშა ქალთა 1,1 პროცენტია, რაც ბევრად აღემატება საერთო-საკავშირო მაჩვენებელს. იშვიათი როდია შემთხვევები, როცა შინაგელსნობის პირობებით მუშაობაზე ქალებს უარს უუბნებიან და ამას იმით ასაბუთებენ, რომ საწარმოში არ არის დანერგილი მუშაობის ასეთი ფორმა. იქ კი, სადაც მუშაობის ასეთი ფორმა გათვალისწინებულია, ხშირად არ გამოყოფენ ნედლეულისა და მასალების შესაბამის ფონდებს, აკლიათ საჭირო მოწყობილობა. მოუწესრიგებელია აგრეთვე ნედლეულისა და მასალების მიწოდებისათვის, მზა პროდუქციის გატანისათვის შინახელოსნათა ტრანსპორტით უზრუნველყოფაც.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, მის საწარმოებსა და გაერთიანებებს რეკომენდაცია აძლევს გამახარეკლონ არასრული სამუშაო დღის, არასრული სამუშაო კვირის რეჟიმით და შინახელოსნობის პირობებით ქალის შრომა დანერგვის კონკრეტული ღონისძიებანი. ამ მიზნით მათ უახლოეს ხანში უნდა განსაზღვრონ საწარმოები, უბნები, პროფესიები, თანამდებობები, სადაც უფრო მიზანშეწონილია გამოიყენონ ქალის შრომა, შეიმუშაონ იმ პროდუქციის ნუსხა, რომელიც შეიძლება აწარმოონ შინ, მოაგვარონ ნედლეულის, მასალების, მოწყობილობის, სატრანსპორტო საშუალებების ფონდების განაწილება.

(საქინფორმი).

მოთხოვნაც სამართლიანია და საყვედურიც

ხელვაჩაურის რაიონის გონიოს საშუალო სკოლა სამი წლის წინათ გადაეცა საექსპლოატაციოდ. სკოლის შენობა ტიპობრივი პროექტით არის აშენებული, მრავალსართულიანია, აქვს ნათელი დარბაზები, ფართო დერეფნები და ცენტრალური გათბობა. ამ შენობიდან ორმოცსანტიმეტრიანი კედელი ჰყოფს რვაწლიან სკოლას, სადაც გონიოს საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მესაზღვრეების შვილები სწავლობენ. საშუალო სკოლა ახალ შენობაში რომ გადავიდა, ძველი შენობის ერთი ფაფენელი რვაწლიან სკოლას დაუტოვეს.

მაგრამ შევეხეთოთ ამ რვაწლიან სკოლაში: მეორე სართულზე ასასვლელი კიბე იმდენად ვიწროა, რომ შეხვედრნი ერთმანეთს გვერდს ძლივს უქცევენ. სახურავიდან წყალი ჩამოდის. სამასწავლებლოში თუნუქის ღუმელი დგას და ვინაიდან აქ განუწყვეტლივ უბერავს ზღვაური, ბაკმელი უკანვე ბრუნდება. სკოლას კაპიტალური სპორფარეშოც კი არა აქვს. რატომ გაზდა პრობლემა მისი აგება ან ცამეტ ოთახში ცენტრალური გათბობის დამონტაჟება? ეს საკითხი პედაგოგებს პარტიის კრებაზე ბევრჯერ დაუსვამთ და ზემდგომი ორგანოებისათვისაც შეუტყობინებიათ. თხოვნას კვალდაკვალ მივყევთო. აი, რა გვიპასუხა რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის უფროსის მოადგილემ ა. ბერიძემ: „მასალების უქონლობის გამო გათბობის გაკეთება არ შეგვიძლია. საპირფარეშოს აშენების მომავალი წლიდან დავიწყებთ"... როგორც ხედავთ, ბიუროკრატიული, უსულგულო პასუხია. ა. ბერიძე ამას ისე წერს, თითქოს ხუთსართულიანი სახლის მშენებლობა იყოს დასაწყები. ან რა საწარმოა ისეთი, წლების განმავლობაში 13 ოთახისათვის საჭირო ცენტრალური გათბობის მასალები რომ ვერ უშოვია? ამავე დროს გვინდა ვკითხოთ რაიალმასკომის, რაიონის განათლების განყოფილების, გონიოს საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელებს: ნუთუ არ შეუძლიათ საქმისნი დახმარება გაუწიონ სკოლას ამ ელემენტარული საკითხების მოგვარებაში? პასუხს ხელვაჩაურის რაიალმასკომიდან ველოდებით.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის" სპ. კორ.

მეცნიერთა რეკომენდაციებით

ბალებს აშენებენ მთებში

დუშეთის რაიონის მაღალმთიანი მასივები, სადაც საუკუნეების მანძილზე არ ყოფილა ბაღები, დროდა განმავლობაში ხილის დიდი მომწოდებელი გახდება. ეს პროგნოზი გაკეთდა ისეთი რაიონში წარმოებული მეცნიერული ძიებისა და საწარმოო ცდების შედეგების შედეგად, რომელიც ბოლო ხანებამდე ხეხილის გაშენებისათვის სარისკოდ ითვლებოდა.

ცნებათა გადასინჯვა დაკავშირებულია აგრარული წარმოების ახალ შესაძლებლობებთან, თანადგოროვე ტექნიკასთან. რომელსაც მთიანი რელიეფის პირობებში შეუძლია ფერდობებზე ტერასების გაკვანა. აქ ყურადსაღებია აგრეთვე სელექციის მიღწევებიც: მეცნიერებმა გამოავლინეს და შექმნეს ხეხილის ისეთი ჯიშები, რომლებიც დაბალ ტემპერატურას უძლებენ. შემუშავდა აგროტექნიკა, რომელიც მაღალ მთებში გაშენებულ ბაღებში უნდა მოსავალს უზრუნველყოფს.

ყოველივე ეს მიღწეულია დუშეთის რაიონისადმი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცნიერთა შეფობის შედეგად.

ამ შეფობის მიზანია დაეხმაროთ მთიანი რაიონის მეურნეობებს სტაბილურად გაზარდონ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, — თქვა ინსტიტუტის რექტორმა, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. მეტრეველმა. სამთო მიწათმოქმედების პრობლემას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩვენი რესპუბლიკისათვის, არამედ სხვა რეგიონებისთვისაც, სადაც მთის რელიეფი ხელს უშლის მიწის შესაძლებლობათა მაქსიმალურ გამოყენებას. ეს უწინარეს ყოვლისა ეხება სოფლის, აზერბაიჯანს, მოლდავეთს, უკრაინას, აგრეთვე შუა აზიის რესპუბლიკებს. გადავწყვეტეთ დუშეთის რაიონის ბაზაზე შექმნილი საცდელ-ექსპერიმენტული პოლიგონი მეცნიერული კვლევისათვის და სამთო მიწათმოქმედების პირობებში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დასანერგავად. შემუშავებულია სამუშაოთა მიზნობრივი პროგრამა 1985 წლამდე.

რას ითვალისწინებს იგი? უწინარეს ყოვლისა, მთის რაიონების ნიადაგის ძირითადი ტიპების შესწავლას, ნიადაგის ნაყოფიერების სისტემისა და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა შემუშავებას, მთის სათიბ-საძოვრების ზედაპირული და ძირეული გაუმჯობესების ხერხების გამოკვლევას, სასოფლო-სამეურნეო კულტურების ახალი ჯიშების გამოყვანასა და დარაიონებას და ბევრ სხვას.

ამ მიმართულებით უკვე მიღწეულია პირველი შედეგები. მაგალითად, ინსტიტუტის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებიდან პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მთის სათიბ-საძოვრების პროდუქტიულობის ამაღლების ღონისძიებათა კომპლექსს. ამას აღწევენ გადახვნითა და მრავალწლოვანი ბალახების ნარევის თესვით, სასუქის შეტანითა და ფარცხვით. მნიშვნელოვანი კომპონენტია ჰერბიციდები, რომლებიც ინსტიტუტის მეცნიერებმა შეარჩიეს და სათიბ-საძოვრებზე სარეველების წინააღმდეგ გამოიყენეს.

დუშეთის რაიონში კვლევითი მუშაობა წინათაც წარმოებდა, მაგრამ ახლა, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა და დაამტკიცა ჩვენი წინადადებები, ეს მუშაობა უფრო მიზნადასახულად, გეგმის შესაბამისად ხორციელდება.

კომპლექსური პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს სპეციალისტთა და მეცნიერთა ფართო წრე. მაგალითად, რეგიონში სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის საკითხების შესწავლაში მონაწილეობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის კათედრა, სამუშაოს ხელმძღვანელობს პროფესორი ა. კიკნაველიძე. მეცნიერებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები ბოლო ბინის ბრიგადებზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციის გაღრმავების საკითხებზე.

კერძოდ, უნდა სრულყოფილ ხეხილის კულტურების (ვაშლი, ატამი) მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია, შევიმუშაოთ წინადადებანი ველური ხილის რაციონალური გამოყენების, მაღალპროდუქტიული ტყე-ბაღების შექმნისათვის.

ჩვენი საქმიანობის არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარეა სოციალური სტრუქტურის პროგრესული ცვლილებების შეფასება, მთის სოფლების მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში სოციალური აქტიურობის დახასიათება.

დუშეთის რაიონს პროგრამის განხორციელება საშუალებას მისცემს ხუთწლედის დამლევისათვის უფრო მაღალ მიჯნებს მიაღწიოს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდებაში, რასაც ითვალისწინებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი.

(საქინფორმი).

ეწერალმა როსტომ ბეჟანიშვილმა მუშათა კლასის ცხოვრებას არაერთი ნაწარმოები მიუძღვნა. ერთ-ერთმა მათგანმა, ვრცელმა მოთხრობამ „უკანასკნელი გადასარბენი" საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის მწერალთა კავშირის პრემია მიიღო მუშათა კლასის თემაზე შექმნილი საუკეთესო ნაწარმოებების საკავშირო კონკურსში. ჩვენი რუბრიკის თხოვნით როსტომ ბეჟანიშვილი დიდი ხნის განმავლობაში ეცნობოდა რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებელთა მუშაობას, ამის შედეგად დაინერა პრობლემური წერილი, რომელსაც ქვემოთ ვბეჭდავთ.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მძლავრი განვითარებით აღინიშნება. მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა, ინდუსტრიის მთელი რიგი ახალი დარგების შექმნამ, სოფლის მეურნეობის მექანიზაციამ და ქიმიზაციამ სრულიად უცვალა სახე სოფელსა და ქალაქს. თანდათანობით იშლება ზღვარი ქალაქსა და სოფელს შორის, გონებრივსა და ფიზიკურ შრომას შორის. ჩვენი ცხოვრების ყველა უბანში მოიეთხოვა ასეთი ფორმა (ფათვალისწინებულია, ხშირად არ გამოყოფენ ნედლეულისა და მასალების შესაბამის ფონდებს), აკლიათ საჭირო მოწყობილობა. მოუწესრიგებელია აგრეთვე ნედლეულისა და მასალების მიწოდებისათვის, მზა პროდუქციის გატანისათვის შინახელოსნათა ტრანსპორტით უზრუნველყოფაც.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, მის საწარმოებსა და გაერთიანებებს რეკომენდაციას აძლევს გამახარეკლონ არასრული სამუშაო დღის, არასრული სამუშაო კვირის რეჟიმით და შინახელოსნობის პირობებით ქალის შრომა დანერგვის კონკრეტული ღონისძიებანი. ამ მიზნით მათ უახლოეს ხანში უნდა განსაზღვრონ საწარმოები, უბნები, პროფესიები, თანამდებობები, სადაც უფრო მიზანშეწონილია გამოიყენონ ქალის შრომა, შეიმუშაონ იმ პროდუქციის ნუსხა, რომელიც შეიძლება აწარმოონ შინ, მოაგვარონ ნედლეულის, მასალების, მოწყობილობის, სატრანსპორტო საშუალებების ფონდების განაწილება.

(საქინფორმი).

მუშაობა კლასის ხვალინდელი დღე

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი: პროგლემები, პერსპექტივები

ბევრ ყაზბეგშიც — ხევის სამეურნეო მნიშვნელობით მეტად საჭირო პუნქტში. აგრეთვე მთის მეცხოველეობის მნიშვნელოვან ზონებში — ლენინგორსა და ჯავაში. ვფიქრობთ, საქართველოს მთიანეთის ამ კუთხეებში სოფლის ტიპის პროფტექნიკური სასწავლებლების ან მათი ფილიალების გახსნა დიდად შეუწყობდა ხელს მთაში დაბრუნებული კაცის პროფესიულ დამკვიდრებას, დახსნებას და გამრავლებას, მთიდან მოსახლეობის მიგრაციის პროცესის შეზღუდვას, ასევე დახახელებული სახოფლოსამეურნეო ზონების, საქართველოს მთის კვლავ აღორძინებას და აყვავებას, ადგილობრივი, შეარმობლური შრომითი რეზერვების შექმნას. სასურველია, რომ პროფტექნიკური განათლების სისტემას სწორი დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავების დროს, ახალი პერსპექტიული სასწავლებლების გახსნისას უფრო ქმედითად დაეხმარონ საქართველ ო ს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, შრომითი რესურსების სახელმწიფო კომიტეტი, ეკონომიკის ინსტიტუტი და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციები.

სასწავლო-აღმზრდელოგბითი პროცესის მეცნიერული ორგანიზაცია

პროფტექგანათლების მთელი სისტემის წინაშე დიდი და რთული პრაქტიკული საკითხ ე ბი დგას. საშუალო პროფტექსასწავლებლებში უნდა უზრუნველყონ მოსწავლეთა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკური მომზადების ორგანული ერთიანობა, მიაღწიონ იმას, რომ მოსწავლე მომზადებული იყოს პროფესიულად და ზოგადი საშუალო განათლების მოთხოვნათა დონეზე იყოს, ამავე დროს სწავლების ხარისხი შეესაბამებოდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს, თანამედროვე წარმოების ინტენსიურ განვითარებას.

ჩვენს რესპუბლიკაში სასწავლებლებისა და პროფტექგანათლების ორგანოების მეთოდური, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიური მოწაფლეობით, ასევე სამინისტროების, უწყებათა და საბაზო საწარმოების დახმარებით ამ ამოცანებს გადასაწყვეტად ბევრი რამ არის გაკეთებული და უფრო მეტი — დაგეგმილი.

საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებლებში შემოღებულია ზოგადსაგანმანათლებლო საგნების სწავლება დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პროგრამით. პროფესიულ-ტექნიკური ციკლის ყველა საგანში მუშაობა მიმდინარეობს ახალი სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით.

ახალი სასწავლო გეგმებისა და პროგრამების ყველაზე მნიშვნელოვანი მხარე ის არის, რომ მოძებნილია ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკური ციკლის საგნებში სასწავლო მასალის მტკიცედ დაკავშირების გზები და საშუალებები, რაც წარმოებაში თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიის შესწავლისა და სახალხო მეურნეობის შესაბამისი დარგების პერსპექტიული განვითარების საფუძველია.

ამავე დროს არის ორგანიზაციულ-მეთოდიკური ხასიათის ბევრი გადაუწყვეტელი პრობლემა. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს სასწავლო გეგმებისა და პროგრამების სრულყოფისათვის. უნდა მოძებნოს სასწავლებლის მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის და სასწავლო დატვირთვის ოპტიმალური შეფარდების ნორმები.

საშუალო პროფტექსასწავლებლები უნდა გაუმჯობესდეს ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინების სწავლების ორგანიზაცია. სასწავლო პროცესის სრულყოფით ზოგადსაგანმანათლებლო საგნებში მოსწავლეთა უფრო მაღალ აკადემიურ წარმატებას უნდა მივაღწიოთ.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა საწარმოო სწავლების ორგანიზაცია. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს სასწავლო სახელოსნოებში მუშაობისა და საბაზო წარმოებებში საწარმოო პრაქტიკის სრულყოფისათვის. ამ საკითხების გადაწყვეტისას უფრო ფართოდ უნდა გამოვიყენოთ რესპუბლიკაში დაგროვილი დადებითი გამოცდილება, თამამად ვეძიოთ პრინციპულად ახალი გზები და მეთოდები.

მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკა, როგორც წესი, თანამედროვე ტექნიკითა და ტექნოლოგიით აღჭურვილ მოწინავე საწარმოებში უნდა მოვაწყოთ, სადაც შრომის მეცნიერული ორგანიზაციის მაღალი დონეა.

საზოგადოებრივ დისციპლინათა სწავლების ხარისხის ყოველმხრივი ამაღლება მოსწავლეთა აღზრდის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. აქ მთავარია ის, რომ დროულად დაინერგოს მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის ეფექტიანი ფორმები და მეთოდები, უკეთესდეს მეთოდიკური ერთფეროვნება, საზოგადოებრივ დისციპლინებში გაკვეთილის ჩატარების პრიმიტივიზმი, ყოველმხრივ გავაქტიუროთ მოსწავლეთა შემეცნებითი საქმიანობა მასალის ათვისების დროს.

საკავშირო მასშტაბით მიმდინარეობს ახლა პედაგოგიური თეორიის განახლება, ბევრი მეცნიერი იჩენს ყურადღებას პროფესიულ-ტექნიკური პედაგოგიისადმი. პროფპედაგოგეკა როგორც მეცნიერება დღითი დღე იზრდება. ფართოდება მისი საკვლევი პრობლემების წრე. მან მოიცვა მთელი რიგი მეცნიერებანი: ტექნიკის, ეკონომიკის, ფიზიოლოგიის, სოციოლოგიისა და სხვა. სხვადასხვა ინსტიტუტი მონაწილეობს მეცნიერების ამ ახალი დარგის კაბინეტის ჩამოყალიბებაში. ამ მხრივ იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სექტორსა და პროფტექგანათლების რესპუბლიკურ მეთოდიკურ ცენტრს უფრო მეტის გაკეთება მართებთ ცხოვრების მიერ წამოჭრილი პრობლემების ოპტიმალურ და მაღალ მეცნიერულ დონეზე გადასაწყვეტად. შემთხვევითი არ არის ისიც, რომ უკვე კარგა ხანია სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიაში ჩამოყალიბდა პროფტექგანათლების პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის სპეციალური განყოფილება. პრობლემას ასე მრავალმხრივ შესწავლა და ცხოვრების საჭიროებით ნაკარნახევი გზების ძიება მიუთითებს იმაზე, თუ როგორი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მეცნიერულ ორგანიზაციას პროფტექსასწავლებლებში, როგორც მუშათა კადრების აღზრდის საფუძველს.

პროფესიულ-ტექნიკური განათლება მეზობლური დანიშნულებით

გვაქვს პროფტექნიკური განათლების სისტემის სასარგებლო ინიციატივის უფრო მრავალმხეცყველი შედეგებიც. სულ ახლახან საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე შეიქმნა ახალი — მანქანათმშენებლობის სპეციალობა, რომელმაც საინჟინრო-პედაგოგიური კადრები უნდა მოუმზადოს პროფტექნიკურ სასწავლებლებს. ასე რომ, რესპუბლიკა მიიღებს პედაგოგიური მომზადების საუკეთესო კვალიფიკაციის ინჟინერ-მექანიკოსს, ტექნოლოგსა და კონსტრუქტორს. ამ სპეციალობაზე და შესაბამის კათედრაზე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (კათედრის გამგე — ვ. ცოცხალაძე) ბევრი რამ კეთდება იმისათვის, რომ მომავალი სპეციალისტები დაეუფლონ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, აითვისონ ტექნიკის უახლესი მიღწევები.

მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ამ სპეციალობას, ჯერჯერობით, პრაქტიკული მომზადებისათვის არა აქვს საჭირო ბაზა, რაც ესოდენ აუცილებელია. ამ მხრივ მანქანათმშენებლობის კათედრას დიდი დახმარება გაუწია საქართველოს პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, რომელმაც ინსტიტუტის სტუდენტებს პრაქტიკული მეცადინეობისათვის გამოუყო № 6 პროფტექნიკური სასწავლებელი. აქ სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატებისა და კათედრის მასწავლებელთა ერთობლივი მუშაობით საკმაოდ მაღალ დონეზეა სტუდენტთა პედაგოგიური პრაქტიკა.

საქართველოს სოლიტექნიკური ინსტიტუტისა და საქართველოს პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტის ეს ერთობლივი ღონისძიება იმის მაგალითია, თუ როგორი ყურადღებით ეკიდება პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელობა სისტემაში შემავალი სასწავლებლებისათვის ი ს მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრების მომზადების უმნიშვნელოვანეს საკითხს. ამას დასტურებს ისიც, რომ **გათვალისწინებულია უახლოეს ხანში რესპუბლიკაში შეიქმნას. სპეციალური უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის საინჟინრო-პედაგოგიურ კადრებს მოამზადებს.**

ასეთი ინსტიტუტის შექმნის საჭიროება თვით ცხოვრებამ წარმოშვა. დღეისათვის რესპუბლიკაში მუშახელის 70 პროცენტს უშუალოდ წარმოებაში ამზადებენ. დანარჩენ 28-30 პროცენტს ამზადებს პროფტექგანათლების სისტემა. პერსპექტიული დაგეგმვით სისტემის ხვედრითი წილი 1980-1990 წლებში მუშათა კადრების მომზადებაში 30 პროცენტიდან 45-50 პროცენტამდე უნდა გაიზარდოს. მაშასადამე, მეთორმეტე ხუთწლედში პროფტექგანათლების სისტემის სასწავლებლებში საშუშაოდ უნდა გვყავდეს თითქმის ორჯერ მეტი პედაგოგი და საწარმოო სწავლების ოსტატი, ვიდრე დღეს გვყავს. ცხოვრების რიტმს რომ არ ჩამოვრჩეთ, თანდარიგი ამთავითვე უნდა დავიბიროთ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელმა ბ. ბერიკაშვილმა ამ. ე. ა. შევარდნაძემ სრულიად სამართლიანად აღნიშნა: „დროა, დავიწყოთ მუშათა მომზადება მიზნობრივი დანიშნულებით, მათი პერსონალური განაწილება პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებიდან, თორემ ჩვენ კვლევინდებურად დავკარგავთ საწარმოებში მივლენილი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა თითქმის ნახევარს, ვერ მივაღწევთ ამ ამოცანას ეფექტიანად, ბევრი რამ ეკეთებოდა ამისთვის, ბევრ ადგილას ეს ამოცანა ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ეს ფორმალიზმი ბევრ ადგილას ჯერ-ჯერობით ბოლომდე ალაგებულ, ფესვიანად ალაგებულ, ფესვიანად ალაგებულ, ფესვიანად

ქუთაისი

გვაცნობებს ჩვენი აკუთარი კორესპონდენტი

ახალი საწარმოო სიმძლავრეები

საახალწლოდ ქუთაისელმა მშრომელებმა ახალი საწარმოო სიმძლავრეები მიიღეს. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავის სახელობის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში ხაექსპლოატაციოდ გადაეცა ხაოიანი და სარეის ქსოვილების მწარმოებელი საწარმო. 5100 კვადრატული მეტრი ფართობის საწარმოში უკვე აგუგუნდა 200 საქსოვი დაზგა. აქ ყოველწლიურად 2,5 მილიონ მეტრ მაღალხარისხოვან ხაოიან და სარეის ქსოვილებს დაამზადებენ.

ნ. ლაკობას სახელობის ტრიკოტაჟის ფაბრიკას შეემატა ახალი პროგრესული ტექნოლოგიით აღჭურვილი სამკერვალო და მოსამზადებელ-საგამომკერელო საამქროები. მარტო სამკერვალო საამქრო ყოველწლიურად ორ მილიონ 200 ათას ცალ ზედა ტრიკოტაჟს გამოუშვებს.

რძის კომბინატში გაიხსნა ახალი საწარმოო სიმძლავრე, რომელიც ცვლაში 50 ტონა რძესა და რძის პროდუქტებს აწარმოებს

ქუთაისს ეცნობიან ინდოელები

...ვ. მაიაკოვსკის სახელობის პირველი საშუალო სკოლის მეხუთეკლასელი მოსწავლის ქეთევან მაკავარიანის სახელზე შორეული ინდოეთიდან მოვიდა ბარათი, სადაც ინდოელი გოგონა მუნმუნი დად სურვილს გამოთქვამს გაეცნოს ქეთინოს, რომლის ხელოვნებას „სოვიეტ ლენდში“ ნახა. „მე მინდა ვიცოდე ბევრი რამ საბჭოთა ქვეყნის შესახებ“, — წერს მუნმუნი ქართველი მოსწავლეს.

ჟურნალი „სოვიეტ ლენდი“ სისტემატურად მოუთხრობს თავის მკითხველებს საბჭოთა ქვეყანაზე. ერთ-ერთი ნომერი მთლიანად საბჭოთა საქართველოს მშრომელთა ცხოვრებას მიეძღვნა. ჟურნალის ამ ნომერში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქუთაისს, მის ისტორიას, დღევანდელობას.

საქმრწინო-სარიტუალო დარბაზი

ავტოქარხნის რაიონში ხაზეიმოდ გაიხსნა ახალი საქმრწინო-სარიტუალო დარბაზი, რომელიც გააფორმა არქიტექტორმა ა. ფხაკაძემ და რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა თ. კოკალაშვილმა. საზეიმო გახსნის ცერემონიალში მონაწილეობდნენ თვითმოქმედი კოლექტივები.

კინოთეატრი განახლდა

დიდი სარეკონსტრუქციო ხამუშაოები შესრულდა კინოთეატრ „ქუთაისში“. აქ მთლიანად შეიცვალა სახურავი, კეთილმოეწყო სადემონსტრაციო და მოსაცდელი დარბაზები, შეიცვალა სიკრანო მექანიზმები, განახლდა კინოსაპროექციო აპარატურა, მოეწყო ვენტილაცია.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კინოთეატრის სარეკონსტრუქციო სამუშაოებში აქტიურად მონაწილეობდნენ ამ მიკრორაიონის მცხოვრებლები.

კეთილი ადამიანები

ახლახან გაზეთ „ქუთაისში“ გამოქვეყნდა პენსიონერ მ. გოგიჩაიშვილის წერილი. პენსიონერ ქალს მეუღლე დიდ ხამამუალო ომში დაეღუპა, მეორე ჯგუფის ინვალიდი მარტოხელა ქალი ავადმყოფობამ ლოგინს მიაჯაჭვა, ამ მძიმე უამს მას დიდი დახმარება აღმოუჩინეს ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების საწარმოო კომბინატის მუშა-მოსამსახურეებმა, რომლებიც დავრდომილს ხშირი სტუმრები არიან, შეუკეთეს საცხოვრებელი ბინა, მოართვეს საახალწლო საჩუქრები. პენსიონერი ქალი მადლობას უხდის დახმარებისათვის კომბინატის მთელ კოლექტივს, ადმინისტრაციას, საწარმოს პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს.

აზრიალდება ლიმონარიუმი

კარბი თაოსნობა გამოიჩინეს საკონდიტრო ფაბრიკის კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა — მათ ცვიბრიკის გამოუყენებელ ტერიტორიაზე ასლახან გააშენეს ლიმონარიუმი, დარგეს 60 ძირი უხვმსხმოიარე ლიმონი.

ახალგაზრდები პირობას დებენ, რომ კომკავშირის ლენინის რაიკომის მხარდაჭერითა და დახმარებით სანიმუშოდ მოუვლიან ლიმონარიუმს, მის გვერდით გააშენებენ ბოსტანს, რომელიც მთლიანად უზრუნველყოფს მუშათა სასადილოს ბოსტნეულით.

შეხვედრა კომპოზიტორთან

ქალაქის საზოგადოებრიობის ინტერესი გამოიწვია შეხვედრამ, რომელიც ამ დღეებში გაიმართა ოპერის თეატრში რესპუბლიკის სახალხო არტისტთან, კომპოზიტორ შოთა მალორავასთან. შეხვედრა მოაწყვეს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებამ და ა. ვასაძის სახელობის კულტურულ-საგანმანათლებლო სახლებელმა.

ამაგდარ კომპოზიტორთან შეხვედრაში მონაწილეობდნენ მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები და ანსამბლები, საოპერო თეატრის ორკესტრი და სოლისტები. შესრულდა კომპოზიტორის ახალი ნაწარმოებები.

დ. გედენიძე.

ქუთაისი, ახალი დასახლება. ო. ბერეჩიკიძის ფოტო.

ჩვენი იურიდიული კონსულტაცია

შემცირებული სამუშაო დრო

თბილისში მაცხოვრებლებს ლ. ჯამეტაშვილს, მ. იაშვილს და სხვებს აინტერესებთ რას ნიშნავს კანონით შემცირებული სამუშაო დრო და როგორ უნდა ისარგებლონ მცირეწლოვანი ბავშვის დედებმა კანონით მინიჭებული ამ უფლებით.

ჩვენს ქვეყანაში საგანგებო ყურადღება ეთმობა მცირეწლოვანი ბავშვების დედების შრომითი პირობების გაუჯობესებას. არასრული სამუშაო დრო — ეს არის მცირეწლოვანი ბავშვიანი დედებისათვის დაწესებული შეღავათი. მისი მიზანია არასრულწლოვანი ბავშვის დედებისათვის საზოგადოებრივ საქმიანობას მოუწყვეტლივ დედობრივი მოვალეობის შესასრულებლად ნორმალური პირობების შექმნა.

საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 44-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ მუშა-მოსამსახურეებს და ადმინისტრაციას შორის შეთანხმებით, როგორც სამუშაოზე მიღებისას, ისე სამუშაოზე მიღების შემდეგაც, შეიძლება დაწესდეს არასრული სამუშაო დღე ან არასრული სამუშაო კვირა. ამ შემთხვევაში შრომა ანაზღაურდება ნაშუშევარი დროის პროპორციულად ან გამომუშავების მიხედვით, ესე იგი, მუშაკს კუთვნილი ხელფასი მიეცემა იმის მიხედვით, თუ რამდენი საათი ან იმუშავა მან. არასრულ სამუშაო დროში მუშაობა არ იწვევს მუშებისა და მოსამსახურეების ყოველწლიური შვებულების ხანგრძლივობის შემცირებას, შრომითი სტაჟის გამოთვლისა და სხვა შრომითი უფლებების რაიმე შეზღუდვას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით საკავშირო პროფსაბჭომ, შრომისა და სოციალური საკითხების დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა შეიმუშავეს და 1980 წლის 29 აპრილს დამტკიცეს სახელმძღვანელო დებულება, თუ როგორ უნდა გაფორმდეს და ისარგებლონ მცირეწლოვანი ბავშვის დედებმა არასრული სამუშაო დროით, რათა დედებს საშუალება ჰქონდეთ მცირეწლოვანი ბავშვების აღზრდას მეტი ყურადღება მიაქცინონ და ამავე დროს ბავშვიანი დედები უკეთ ჩაებნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

არასრული სამუშაო დღე ან არასრული სამუშაო კვირა უნდა გაფორმდეს ადმინისტრაციისა და ბავშვიანი დედის შეთანხმებით და დამტკიცდეს ბრძანებით. შეთანხმება შრომის წიგნაკში არ აღინიშნება. სამუშაო საათები ან სამუშაო კვირის დღეები შეიძლება შემცირდეს დედისათვის ხელსაყრელ პერიოდში, მაგალითად, სასწავლო წლის დამთავრებამდე, ბავშვის გარკვეული ასაკის შესრულებამდე და სხვა.

შეთანხმებისას ადმინისტრაციის ბრძანებით უნდა გაფორმდეს და განისაზღვროს მუშაობის რეჟიმი, რამდენი საათით დღეში ან რამდენი დღით კვირაში, რომელი საათებით ან კვირის რომელი დღეებით მცირდება სამუშაო დრო. შემცირებული საათები ან შემცირებული დღეები ერთმანეთის თანმიმდევრობით უნდა იყოს. მაგალითად, არ შეიძლება მუშაკი სამუშაოზე გამოცხადდეს ერთი საათის დაგვიანებით და ერთი საათით ადრე წავიდეს სამუშაოდან და ამ წესით შემცირდეს სამუშაო დრო ორი საათით. ზსევე დაუშვებელია, მუშაკი სამუშაო კვირის პირველი და კვირის შუა დღეებში არ გამოცხადდეს სამუშაოზე. ვიმეორებთ, შემცირებული დღე და საათები ერთმეორეზე უნდა იყოს გადაბმული.

ბავშვიან დედას სამუშაო დღე შეიძლება შეუმცირდეს ერთი, ორი, სამი და ოთხი საათით, პროპორციულად ხელფასის შემცირებით. მაქსიმუმ ოთხ საათზე მეტად სამუშაო დროის შემცირება არ შეიძლება. მუშაკის სამუშაო დღე არ შეიძლება ოთხ საათზე ნაკლები იყოს. ხუთდღიანი სამუშაო კვირის შემთხვევაში სამუშაო დღეები არ უნდა იყოს 20 საათზე ნაკლები, ხოლო ექვსდღიანი კვირის შემთხვევაში — 24 საათზე ნაკლები. ამიტომ 5-დღიანი კვირის შემთხვევაში სამუშაო კვირის შემცირება შეიძლება ორი დღით, ხოლო ექვსდღიანი სამუშაო კვირის შემთხვევაში შეიძლება სამუშაო კვირის განახევრება.

არასრული სამუშაო დღე და კვირა შეიძლება მცირეწლოვან ბავშვიან ქალებს დაუწესდეთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ადმინისტრაციისა და პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის თანხმობით. აღნიშნული შეღავათით სარგებლობენ მხოლოდ მცირეწლოვანი ბავშვის დედები, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი შვილი ჰყავს დედას.

გ. იოსავა,
საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი.

წლევანდელი სპორტული სეზონის უმნიშვნელოვანესი შეჯიბრება გახლავთ სსრ კავშირის VIII საზაფხულო სპარტაკიადა. სასპარტაკიადო შეჯიბრებათა ფინალური ტურნირები ძირითადად მოსკოვის ოლიმპიურ სარბიელზე გაიმართება. ამ დიდ სპორტულ ფორუმში საბჭოთა სპორტსმენებთან ერთად უცხოეთის ქვეყნების წარმომადგენლებიც იასპარეზებენ და, ამდენად, იგი გენერალური რეპეტიცია იქნება მომავალ ოლიმპიურ ასპარეზობათა წინ. სპარტაკიადის პროგრამაშია 32 სახეობა, რომელშიც ორი ახალი ოლიმპიური სახეობის სპორტიც იქნება წარმოდგენილი — მაგიდის ჩოგბურთი და სინქრონული ცურვა. სპარტაკიადის ფინალური ნაწილი დაიწყება 10 მაისს და დამთავრდება 6 აგვისტოს. სპარტაკიადის საზეიმო გახსნა მოეწყობა 23 ივლისს, ხოლო დახურვა — 6 აგვისტოს.

დღეს ჩვენი გაზეთი იწყებს სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადისათვის საქართველოს სპორტსმენთა მზადების თაობაზე მასალების გამოქვეყნებას. ჩვენი პირველი საუბარი ეძღვნება წყალბურთს.

სულ ახლახან ჩვენ მოწმენი ვიყავით წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის საწყისი ეტაპის მატჩებისა, რომლებიც თბილისში გაიმართა. ჩემპიონატის მსვლელობისას ამის თაობაზე და ქართველ წყალბურთელთა სამერმისო გეგმებზე გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტს ესაუბრა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნოდარ გვახარია.

წყალბურთი

— წლევანდელ სეზონში ჩემპიონატის მონაწილე გუნდების უმთავრესი ამოცანა სსრ კავშირის ხალხთა VIII საზაფხულო სპარტაკიადისათვის მზადება გახლავთ. წინა სპარტაკიადაზე საქართველოს ნაკრები მეორე ადგილზე გამოვიდა. ეს ძალიან კარგი შედეგი იყო. მაშინ გუნდში ნაცადი სპორტსმენები თამაშობდნენ, ახლა კი ჩვენი კოლექტივი ახალგაზრდულია და VII სპარტაკიადაზე მიღწეული წარმატების განმეორება ალბათ გაუჭირდება, ხუთიულში კი აუცილებლად უნდა მოხვდეს. თბილისში გამართულმა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩებმა ნათლად წარმოაჩინა ის სარვეზები, რომელთა აღმოფხვრა შესაძლებელად გაამლიერებდა გუნდის პოტენციალს. უწინარესად ეს ითქმის სათამაშო დისციპლინის შესახებ. მაგალითად, ალმაათელებთან კარგად დაწყებული მატჩი იმიტომ წავაგეთ, რომ მოთამაშეებმა აშკარად გადაუხვიეს მწვრთნელთა დარიგებებს და გაუმართლებელ „ექსპერიმენტებს“ მიმართეს. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს დაცვაში კოლექტიური თამაშის ორგანიზაციას, გუნდს უმირს საშუალო მანძილიდან ტყორცნები, უნდა დაიხვეწოს თამაშის ზოგიერთი ტაქტიკური ვარიანტიც. ქართველ წყალბურთელებს ; სახპარტაკიადოდ უკეთ მომზადებისათვის საკმარისი დრო და საინტერესო კალენდარი უძევთ წინ. საბჭოთა კავშირის საგანგებოდ შეკვეცილი ჩემპიონატის გარდა, ვგულისხმობ თბილისის დინამოელთა ტურნეს უნგრეთში, რომელიც მარტშია დაგეგმილი და მაისის საერთაშორისო შეჯიბრებას თბილისში უნგრეთის, იტალიის, შვეიცის, კუბის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირის პირველი, საბჭოთა კავშირის სტუდენტური და საქართველოს ნაკრები გუნდების მონაწილეობით.

თბილისის „დინამო“ რესპუბლიკის წყალბურთელთა ნაკრების საბაზო გუნდია და, ცხადია, მის განმტკიცებაზე ზრუნვას ეს



ყაბახი

ასეთი სათაურით დაისტამბა დიდოსტატ მიგელ ნაიდორფის სტატია არგენტინის გაზეთ „კლარინში“ მსოფლიო ჩემპიონის ანატოლი კარპოვის შესახებ. აი, რას წერს ნაიდორფი:

„როცა მოსკოვში გახლდით, მთხოვეს დამეწერა მსოფლიო ჩემპიონის წოდებისათვის შესავალი წერილი. მე მითხრეს: თქვენ მას კარგად იცნობთ, გითამაშია თითქმის ყველა მსოფლიო ჩემპიონთან... გვინდა, რომ იგი შეადაროთ სხვა მსოფლიო ჩემპიონებს და შეაფასოთ, როგორც სპორტსმენ პიროვნება.

მთელი ღამე გავათენე, ჩემ წინ გაიელვეს უდიდეს მოუდრეკელთა ამბიციებმა, რომელთა სხვადასხვა კრიტერიუმს ვუფარდებდი კარპოვს. შემდეგ კი შესავალ წერილში შევეხე იმ შთაბეჭდილებებს, რომლებიც ჩემზე და ყველა იმათზე მოახდინა, ვისაც იგი შეხვედრია. ვფიქრობ, რომ ჩემი აზრი ემთხვევა ჭადრაკის ბევრი გულშემატკივრისა და სპეციალისტის მოსაზრებას.

პირველი, რაზეც ვიფიქრე: კარპოვი იმარჯვებს, მაგრამ თავისი მოგებებით ზომაზე მეტ აღფრთოვანებას როდი გამოხატავს. მეორე. მოწმე ვარ რა, როგორ იგებს ზედიზედ ტურნირებს, ყოველთვის ვუსვამდი კითხვას საკუთარ თავს: რა არის მისი ძალა?

იგი ტალვიანი, მწვავე კომბინაციებს არ მიმართავს, პეტროსიანზე ზუსტად არ იცავს თავს, ენდშპილში სმისლოვზე ან ანდერსონზე ძლიერი არ არის... აბა რა არის მისი ძალა?

იგი უწინარესად აქტიურ თამაშს საოცრად ავითარებს. მისი პარტიების გულმოდგინე ანალიზისას კი ასეთ დასკვნამდე მივედი: კარპოვი ჩემპიონია თამაშის არა ცალკეულ ფაზებში, არამედ მის ერთიანლიობაში. როგორც კი ჩასწვდები მისი თამაშის ჰარმონიას, აღფრთოვანება კეუფლება, გიპყრობს მის მიერ ნათამაშევი პარტიების სილამაზე. ყოველივე ეს თითოეული პარტიის მოგებით დასრულებას ემსახურება, რაც ბოლოს და ბოლოს მისი გენიის მაგიურობას ადასტურებს და გარკვევს მის მიერ დაფაზე შექმნილ შედევრებში.

შეუძლებელია ჩემპიონი იყო, თუ გენიოსი არ ხარ, და ანატოლი კარპოვი სწორედ ასეთია, მაგრამ ახალი განზომილებით. მისი ტალანტი უნიკალურია, მას პოზიციის შეფასების ისეთი უნარი შესწევს, როგორც ეს აქამდე არავის შეეძლო. მისი გენია უფრო შთამბეჭდავია იმით, რომ იგი შეუსვენებლად მონაწილეობს ტურნირებში და წაგებას არ უფრთხის. თითქმის მუდმივი გამარჯვებებით კი კარპოვი თითქოსდა გვეუბნება: სეფიორებო, მე ჩემპიონი ვარ!

ჩვენ მართლაც აღფრთოვანებული ვართ კარპოვის თამაშის სტილით, ოდენ ერთ ჭადრაკის სილამაზე ყველა ასპექტშია წარმოჩენილი...“

„დიდი ჩემპიონის ძალა“

საბჭურნირო ორბიტა

ფეხბურთი. სოჩში გაიმართა სსრ კავშირის პირველი ნაკრებისა და საბჭოთა ოლიმპიური გუნდის საკონტროლო შეხვედრა. მატჩი მოიგო პირველმა ნაკრებმა ანგარიშით 2:1. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ჩივაძემ და დემიანენკომ. ერთი ბურთი გაქვითა დუმანსკიმ. პირველ ნაკრებში ითამაშეს ჩანოვმა (დასაკვმა), სულაქველიძემ, ჩივაძემ, დემიანენკომ, ბალტაჩამ, ბალმა (ოპანესიანმა), შენგელიამ (როდიონოვმა), ბესონოვმა, ანდრეევმა, ევტუშენკომ და ბლოხინმა.

ვოლლეიბოლი. ექვსგზის მსოფლიო ჩემპიონმა, ლენინგრადელმა გალინა ცარიოვამ მოსკოვში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე, სადაც აიროფლოტის პრიზი თამაშდებოდა, ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა 10 კილომეტრზე (ტრეკი) რბოლაში — 13 წუთი და 41,51 წამი. ეს შედეგი ამავე დროს მსოფლიო რეკორდია (დახურულ დარბაზებში გამართული შეჯიბრებისათვის).

კალათბურთი. გრძელდება უმაღლესი ლიგის ვიცთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი. ლენინგრადის „სპარტაკმა“ დამატებით ორ ხუთწუთიან ტაიმში შეძლო გათამაშების ლიდერის — კაუნასის „ჟალგირისის“ დამარცხება — 92:91 (ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 75:75).

წყალბურთი. თბილისში დამთავრდა „დინამოს“ საკავშირო ცენტრალური საბჭოს ჭაბუკთა (1965-66 წლებში დაბადებულები) გუნდების პირველობა. შეჯიბრებაში გაიმარჯვეს მოსკოველებმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ლენინგრადელები, მესამეზე — თბილისელები.

დღის წესრიგშია სპარტაკიადა

● ● ●